MES 5 21 0000804915

19/08/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2021 წლის 05 აგვისტოს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა

თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში,
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)წარმომადგენლები:

სანდრო ტაბატაძე-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანი ბილანიშვილი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1.შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

1. მარიამ დარბაიძე - რექტორის მრჩეველი;
2. ნათია ქაჯაია- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
3. ნიკა დუდაშვილი- იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. მარინა შავლაყაძე- კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსი
5. ილონა საყვარელიძე - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
6. ნინო აბაიშვილი - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
7. მარიამ გოგიბერიძეპროგრამის ხელმძღვანელი
8. ჯაბა ადამია - პროგრამის ხელმძღვანელი
9. თამარ საჯაია - პროგრამის ხელმძღვანელი
10. ნანა იაშვილი - მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი.

2.ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

1. დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. ეკატერინე აზარაშვილი - კანცლერი
3. ლანა ბოკუჩავა - მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი
4.ილია მესხი - პროგრამის ხელმძღვანელი
5. ხათუნა საგანელიძე - ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ირმა მანჯავიძე
ია ფანცულაია
ვახტანგ თებიძე
ვლადიმერ მარგველაშვილი
ელენე გიგინეიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2.შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი)საგანმანათლებლო პროგრამისეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფარმაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. 2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701849 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
5. 2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701862 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1. **შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა 2018 წლის 2 დეკემბრის N43 გადაწყვეტილების შესაბამისად, ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების შესაბამისობის დასადგენად. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი არ განხორციელებულა და შეფასება განხორციელდა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართების შესწავლა. მან ასევე აღნიშნა, რომ დამატებით გამოთხოვილ იქნა მატერიალური რესურსებისა და

სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მან ჩამოთვალა გაცემული რეკომენდაციები:

- განახლდეს და დაიხვეწოს ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო კვლევითი აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და დაფინანსების ხელშეწყობა, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისთვის;

და რჩევები:

- სტომატოლოგიის პროგრამის სილაბუსებში, გამოყენებულ ლიტერატურაში, განსაკუთრებითმ დარგობრივ საგნებში, უმჯობესია დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა
- სასურველია, სტომატოლოგიის რუსულენოვან პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსი - ქართული ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ, თავი გააცნო დამსწრეებს და აღნიშნა, რომ არის რექტორის მრჩეველს. მან აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია მსგავსია და ძირითადად სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს შეეხება და შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ისაუბრებს. მან ასევე აღნიშნა, რომ რჩევა ქართულ ენასთან დაკავშირებით, უკვე გათვალისწინებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე შავლაყაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს შიდა საგრანტო სისტემა, გამოიყო დაფინანსება დ აბოლო 5 წლის განმავლობაში, 85% არის გაზრდილი კვლევების დაფინანსება. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოყოფილია კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებები: სოციალური, ჰუმანიტარული, ჯანდაცვისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებები. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის განმავლობაში 4 საგრანტო პროექტი დაფინანსდა და აქედან სამი სწორედ ჯანდაცვას შეეხებოდა. მან ჩამოთვალა დაფინანსებული პროექტები და მათი ხელმძღვანელი პირები. მან ასევე აღნიშნა, რომ პროექტებში ჩართულები არიან როგორც აკადემური, ისე მოწვეული პერსონალი და თითოეულ პროექტზე, მისი თქმით, გარე შეფასება განხორციელდა და აღნიშნული შეფასებები იყო საკმაოდ დადებითი და მართალია, გაიცა რეკომენდაციები, თუმცა, თითოეული მათგანი იქნა გათვალისწინებული. მან ასევე ჩამოთვალა გარე ექსპერტები და მათი სტატუსები. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული არასამთავრობო ორგანიზაციასთან. მან ასევე აღნიშნა, რომ ეკოლოგიის მიმართულებით, მიმდინარე პროექტში ჩართულია ვროცლავის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც საჯარო ლექცია ჩაატარა და აღნიშნული მიმართულება ასევე დაფინანსდა დაწესებულების მიერ. მან აღნიშნა, რომ კვლევითი ბიუჯეტი მზარდია ყოველწლიურად.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს ყოფილიყო მეტად კონკრეტული და ეპასუხა უშუალოდ ექსპერტების მხრიდან გამოთქმული რეკომენდაციისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევითი ბიუჯეტი ეტაპზე არის 100000 ლარი და იგეგმება მისი ყოველწლიური და მნიშვნელოვანი ზრდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აფინანსებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო სტატიების, ტრენინგებისა და ვორკშოპების ხარჯებს. მან ასევე ჩამოთვალა ჯანდაცვის ფაკულტეტზე დაფინანსებული აკადემიური პერსონალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ქაჯაიამ, აღნიშნა, რომ დაფინანსების გაზრდა გათვალისწინებულია და ის სისტემატურად ხორციელდება და ამ მხრივ, დაწესებულებას კარგი შედეგები აქვს და ჯერ კიდევ წინა საბჭოს მითითების მიხედვით, ისინი მუდმივად მუშაობენ სამეცნიერო-კვლევითი ბიუჯეტიზ ზრდაზე. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას ხელშეკრულებების განახლების შესახებ, მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებას აქვს ჩანაწერი, რომ თუ ის მხარეთა შეთანხმების გზით, არ სრულდება, ვრცელდება მის გაუქმებამდე, ამდენად, მან აღნიშნა, რომ ყველა ხელშეკრულება მოქმედია და მხოლოდ სამი რეკომენდაციაა შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ, აღიშნა, რომ რეკომენდაცია ასევე გულისხმობს საკითხს, რომელიც ეხება სტუდენტთა ვალდებულებას კონფიდენფიალურობასთან დაკავშირებით და მისი თქმით, შესაძლებელია, რომ დაწესებულებამ იფიქროს განახლებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ქაჯაიამ, აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი, რომელიც ვადაგასული იყო და განახლდა, აღნიშნული საკითხი დაწსებულების მხრიდან დაფიქსირებულია და გამოსწორებულია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელენე გიგინეიშვილმა იკითხა, რამდენია გათვლილი 100000 ლარიდან უშუალოდ სტომატოლოგიის რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ კვლევისთვის გამოყოფილი თანხა უფრო დიდია, ვიდრე 100000 ლარი და აღნიშნული თანხა უშუალოდ ეხება სწორედ აღნიშნულ პროგრამებს.

2. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა, აღნიშნა, რომ მსგავსად, უკვე განხილული საკითხებისა, ვიზიტი არც ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში განხორციელებულა და ძირითადი დასკვნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დანართების სახით იქნა შედგენილი. მან ასევე ჩამოთვალა გაცემული რეკომენდაციები:

- ფაკულტეტის მიერ ორგანიზდეს და დაფინანსდეს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელმშემწყობი ღონისძიებები, როგორც მოწვეული პერსონალისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის;
- მოხდეს წარმოდგენილი ხელშეკრულებების გადახედვა

და რჩევები:

- უმჯობესია, კლინიკურ კურაციულ საგნებს წინაპირობად დაემატოს „უცხო ენა2“, ქართული;
- სასურველია, პროგრამაში საერთაშორისო ლექტორეის ჩარტულობა, როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებში, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშესაწყობად;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ გოგიბერიძემ, აღნიშნა, რომ ქართული, როგორც უცხო ენა პროგრამას დაემატა და პროგრამა მოცემული სახით, რეკომენდაციებს სრულად ითვალისწინებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ენების ცენტრი ამოქმედდება შემოდგომიდან და უცხოელ სტუდენტებს უფრო გაუმარტივდებათ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეხფვაძემ, იკითხა რა კონტიგენტზეა გათვლილი რუსულენოვანი პროგრამა.
საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ, იკითხა, როგორი სისტემით ხდება აკადემიური პერსონალისთვის დაფინანსების გაცემა და როგორი ინდიკატორებით ხდება კვლევების შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციული მუშაობის შეფასების სისტემა, რაც, ეყრდნობა როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის სტანდარტებს და ამდენად, დაწესებულება, იყენებს სპეციალურ ფორმას, რაც ეყრდნობა სამეცნიერო-კვლევით პროდუქტიულობას, რასაც, უნდა აკმაყოფილებდეს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი. მისი თქმით, მომავალი წლიდან, იგეგმება კვლევითი მიმართულებით, დაფინანსების ზრდა.
საბჭოს თავმჯომარემ იკითხა რამდენ კლინიაკსთან არის გაფორმებული ხელშეკრულება ორივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნათია ქაჯაიას, თქმით, დაახლოებით 20-30 კლინიკა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა როგორ რეგულირდება კლინიკებთან პრაქტიკის საკითხი და რამდენად მიდიან კლინიკებში პროფესორები სტუდენტებთან ერთად
დაწესებულების წარმომადგენლის, ნათია ქაჯაიას, თქმით, კლინიკებში მიდიან პროფესორები და დიდი ნაწილი ისედაც პრაქტიკოსია და იქ მუშაობენ.
დაწესებულების წარმომადგენლის, მარიამ დარბაიძის თქმით, ინსტიტუციაში მოქმედებს პრაქტიკის მარეგულირებელი წესი და ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ორი წლის ვადით შეჩერებული ჰქონდა სტუდენტების მიღება, სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, მაგრამ, მისი თქმით, შეზღუდვის მოხსნის გამო, რაოდენობა გაიზრდება
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნათია ქაჯაიას თქმით, პროგრამაზე დაახლოებით 300 სტუდენტი სწავლობს. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსულენოვანი პროგრამის შემთხვევაში ძირითადი კონტიგენტია ჩრდილოეთ ოსები, დაღესტანელები, უკრაინელები და აზერბაიჯანელები.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:40 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:50 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სახელმწიფო ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი რეკომენდაციების შესრულებისთვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-5 და 21-ე პუნქტების შესაბამისად, დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სახელმწიფო ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი რეკომენდაციების შესრულებისთვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-5 და 21-ე პუნქტების შესაბამისად, დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

3. **ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფარმაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა თვითაცილება. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულება.

საბჭოს დანარჩენმა დამსწრე წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების
მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ფარმაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში დამატებით შესახებ. მან აღიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2021 წლის 02 ივლისს, ნახევრად-დისტანციურ რეჟიმში.
ჩამოთვალა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს „ფარმაციის პროგრამის“ განხორციელებისას სწავლა-სწავლების სპეციფიური მეთოდების დანერგვა სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად;
- პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა, მოახდინონ სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- გაიზარდოს ფარმაცევტულ სასწავლო დისციპლინებში მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით;

- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს „ფარმაციის“ პროგრამის განმახორციელებელთა ოპტიმალური დატვირთვა პროგრამის შეუფერხებელი იმპლემენტაციისათვის;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს „ფარმაციის“ პროგრამის იმპლემენტაციისათვის სათანადოდ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების დამატება სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით;

- ფარმაციის“ პროგრამის ლაბორატორიები მოეწყოს და აღიჭურვოს დარგის სასწავლო სპეციფიკის გათვალისწინებით, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ყველა კომპონენტის სრულყოფილად განვითარებისათვის;

მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, დაწსებულება ყველაფერს ეთანხმება და დაამატა, რომ დაწესებულება 2013 წლიდან ავითარებს სწავლების სამივე საფეხურის პროგრამას და ყველა შიდა მარეგულირებელი ნორმა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.
ექსპერტთა ჯგუფმა, ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან, გაზიარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ, ექსპერტებს მადლობა უთხრა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ყველა გაცემულ რეკომენდაციას და ეს მათ მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაშიც ჩანს. მანვე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოიყენა შესაძლებლობა ავტორიზებულ რეჟიმში დაემატებინა ფარმაციის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და მიეღო სასარგებლო რეკომენდაციები და რჩევები. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გასაგები, მისაღები და უკვე განხორციელების ეტაპზე. მისი თქმით, აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსი მიმდინარეობს და ასევე პრაქტიკისა წარმოების ბაზასთან მიმართებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციებით პროგრამის დამატების საკითხი, სავარაუდოდ, ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს.
საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ იკითხა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებს პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენლმა, აღნიშნა, რომ განსაზღვრულია სულ 50 სტუდენტის მიღება, საიდანაც, 15 იქნება ქართველი, ხოლო 35 უცხოელი და სექტემბერშივე აპირებენ უცხოელი სტუდენტების მიიღებს, თუ, საბჭოს გადაწყვეტილება იქნება დადებითი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და ჰკითხა არის თუ არა მოქმედი აკადემიური პერსონალი შესაბამისი იმდენად, რომ ის აკმაყოფილებდეს არსებულ მოთხოვნას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში, მიმდინარეობდა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. მისი თქმით, პროგრამის განმახორციელებელი 28 ადამიანიდან, ზოგიერთ დარგის სპეციალისტ, მოწვეულ პერსონალს შეტანილი ჰქონდა საბუთები კონკურსში. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში საუბარია რაოდენობის გაზრდაზე და პროფილური აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდაზე. მანვე აღნიშნა, რომ პროგრამის თავისებურება ისაა, რომ ორიენტირებულია ფარმაციულ მენეჯმენტზე. მისი თქმით, არსებული რესურსი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვმებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და ჰკითხა არის თუ არა მოქმედი ლაბორატორიული რსურსი შესაბამისი იმდენად, რომ ის აკმაყოფილებდეს არსებულ მოთხოვნას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ, აღნიშნა, პირველი კურსისთვის, ეს რესურსი არსებობს, მართალია, დაწესებულებას არ აქვს ორი დარგობრივი ლაბორატორია, მაგრამ პროცესები დაწყებულია და როგორც ცნობილია, ისინი აპირებენ დამატებას, რაც, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან ფარმაცია სპეციფიკური დარგია და ნიუ ვიჟენს აქვს საუნივერსიტეტო კლინიკა და ის დაინტერესდა, რას გეგმავს დაწესებულება ლაბორატორიების განვითარების თვალსაზრისით.

დაწესებულების დავით კერესელიძემ, აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამას აქვს რამდენიმე სვეტი: ზოგადი კომპეტენციის სასწავლო კურსები, მედიცინის სასწავლო კურსებთან დაკავშირებული საკითხები, ფარმაციის თემატიკასთან დაკავშირებული, მათ შორის ფარმაციის მენეჯმენტის მიმართულებაზე. მისი თქმით, რეკომენდაცია იყო სხვა მიმართულების გაძლიერებაზე და მათ ეს გაითვალისწინეს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს გეგმა, რომ ფარმაცევტული წარმოება გაძლიერდეს და უცხოელმა სტუდენტებმა ამით შემდგომში იამაყონ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2023 წლიდან ფარმაცის წარმოების მიმართულებით შემოდის ახალი მკაცრი რეგულაციები და სავარაუდოა, რომ ბევრი კომპანია ამას ვერ დააკმაყოფილებს.
დაწესებულების დავით კერესელიძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:20 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:25 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფარმაციის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლება დაემატოს და განაოხრციელოს „ფარმაციის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

4. **2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701849 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;**

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების დანართში არასწორად იყო მითითებული კვალიფიკაციის კოდი და ტექნიკური ხარვეზის გამო, საჭირო იყო, მისი მართებულად მითითება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე 2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701849 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

5. **2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701862 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;**

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების დანართში არ იყო იყო მითითებული კვალიფიკაციის კოდი და ტექნიკური ხარვეზის გამო, საჭირო იყო, მისი მართებულად მითითება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე 2021 წლის 12 ივლისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N701862 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით